ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-70

2010 წლის 1 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №-525 ბრძანებულების მე-6 მუხლის შესაბამისად:

1. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

თენგიზ მეგრელიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი – **კომისიის თავმჯდომარე;**

მერაბ ჯინჭარაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსი – **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**

ალიკო კაკაბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - **კომისიის წევრი;**

თეონა გეგიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

ირინა ურუშაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის მიწის მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ლევან მჟავანაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საწარმოთა მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ ძირკვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსი;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**